# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 175. ხუთშაბათი, 11 დეკემბერი 1903 წ. გაზეთის № 2349.



**მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ**

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით**

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარედ |
|---|---|
| 1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., | 1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., |
| 1 თვით—50 კაპ. | 1 თვით—90 კაპ. |

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მ ო ა მ ბ ე“**

(წელიწადი მეთერთმეტე)

**ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა**

| კავკასიასა და რუსეთში | საზღვარ-გარედ: |
|---|---|
| 1 წლით - 10 მ., 6 თვით—6 მ., | 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., |
| 3 თვით—3 მან. | 3 თვით—5 მან. |

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება**: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

# ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან**. სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

**ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით**

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

**ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, **25 დეკემბრამდე დაიკვეთონ**, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пуркели.


* * *

(ჰეინედან)

დაუხშე გულსა, დაიცა!
ნუ ჩქარობ გიჟო შენავე!
ქალწულს ევროპას,—სატრფოსაც
ვნახავ და მოვალ ეხლავე.

—

მოზღვავდი გრძნობავ, გადმოსკდი
თვალიდან სისხლის ცრემლადა,
ავწერო გულის ტანჯვები,
სისხლი ვიხმარო მელნადა.

—

სატრფოვ, რად სტირი? რათა თრთი?!
რისთვის იწამლავ ლხენასა?!
წინად გულგრილად უმზერდი
წყლულიდან სისხლის დენასა?!

—

გახსოვს იმ გველის ამბავი,
ნათქვამი ძველის ძველადა?
ევას რომ ვაშლი აჭამა
ჩვენს ჭირად, სატანჯველადა?

—

ქვეყნად ტანჯვა და ვაება
ვაშლმა ჰქნა; ევას ბრალია;
სიკვდილს სიცოცხლე უმსხვერპლა
და დღენი ტანჯვით დალია.

—

ჰეროსმა ტროა გადასწვა;
ევამ გვიმოკლა დღენია.
შენ, სატრფოვ, ორივ მარგუნე:
სიკვდილი,—ცეცხლის გენია.

სა.

# ქალად ტრაგიკოსი

ხუმრობა ერთ მოქმედებად

ა. ჩეხოვისა.

**მომქმედნი პირნი:**

ივან ივანოვიჩ ტოლკაჩოვ, ოჯახის მამა.
ალექსეი ალექსეიჩ მურაშკინ, მისი მეგობარი.
(მოქმედება სწარმოებს პეტერბურგს, მურაშკინის სახლში).

მურაშკინის კაბინეტი. რბილი მებელი. მურაშკინი საწერ მაგიდას უზის. შემოდის ტოლკაჩოვი, ხელში უჭირავს აბაჟური ლამპისათვის, საბავშვო ველოსიპედი, სამი—ქალის შლიაპის—ყუთი, დიდი ბოხჩა ტანისამოსით, პატარა ტომარა ლუდით, და ბევრი სხვა რამ. ყველაფერი შეკრულია. უგრძნობლად ატრიალებს თვალებს და დაქანცულობისა გამო დაეცემა დივანზე).

**მურაშკ.** გამარჯობათ, ივან ივანიჩ! ძალიან მესიამოვნა! საიდან?

**ტოლკაჩ.** (მძიმედ სუნთქავს). ჩემო მტრედო.... გენაცვალე... სათხოვარი მაქვს... გევედრები... ხვალამდის მათხოვე შენი რევოლვერი... როგორც მეგობარს...

**მურაშკ.** მერე რად გინდა რევოლვერი?

**ტოლკაჩ.** საჭიროა, საჭირო... ოჰ, ღმერთო! წყალი დამალევინე, მალე წყალი!.. საჭიროა... აი, ღამე მომიხდება უდაბურ ტყეში გავლა, და მეც... ყოველ შემთხვევისათვის. მათხოვე, თუ ღმერთი გრწამს.

**მურაშკ.** აარა, სტყუი, ივან ივანიჩ! რის უდაბური ტყე, რას როშავ! ალბად რამე განგიზრახავს. პირისახეზე გატყობ, რომ კარგს არას აპირებ. ღმერთო, ეგ რა მოგდის, გული გიწუხს?

**ტოლკაჩ.** მოიცადე, დავისვენო... ოჰ, დედაჩემო... როგორც ძაღლი, ისე დავიღალე. მთელს ტანსა და თავში ისეთს

რაღაცას ვგრძნობ, თითქოს შამფურზე მწვადად ამაგესო. მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან, თუ ძმა ხარ, ნურაფერს მკითხავ, ნუ ეცდები დაწვრილებით რამე შეიტყო... მომეცი რევოლვერი, გევედრები!

**მურაშკ.** კარგი, დაწყნარდი, ივან ივანიჩ, რა სულ-მოკლეობაა. ოჯახის პატრონი კაცი, მამა, სტატსკი სოვეტნიკი! გრცხვენოდეს!

**ტოლკაჩ.** რის ოჯახის მამა? წამებული ვარ, წამებული! საკურტნე საქონელი ვარ, ზანგი, მონა, ფლიდი, რომელიც რაღაცას უცდის და არ ემგზავრება საიქიოს. მე ჩვარი ვარ, ჩვარი, კერპი, რეგვენი! რისთვისა ვცხოვრობ? რისთვის? (წამოხტება) აბა, ერთი შენ მითხარ, რისთვისა ვცხოვრობ? რისთვისაა ეს განუწყვეტელი ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა? მესმის კაცი წამებული იდეიისათვის, მაგრამ როდესაც იტანჯვი, ეშმაკმა იცის რისთვის, ქალების იუპკებისა და ლამპის ბურთებისათვის, არა, არა, არასოდეს! ეხლა კი კმარა, კმარა!

**მურაშკ.** ეგრე ძალიან ნუ ყვირი, მეზობლებს ესმით!

**ტოლკაჩ.** ჩემთვის სულ ერთია, იმათაც გაიგონონ! შენ არ მომცემ რევოლვერს, სხვა მომცემს, მე კი ვერ ვიცოცხლებ! გათავებულია!

**მურაშკ.** მოიცა, ღილი ნუ ამაგლიჯე! დამშვიდებით ილაპარაკე. მაინც ვერ გამიგია, რითაა ცუდი შენი ცხოვრება?

**ტოლკაჩ.** რითა? შენ მეკითხები რითაო? ბატონი ხარ, მოგიყვები. დაწვრილებით გიამბობ და იქნება ცოტა გულზე მომეშვას. დავსხდეთ. აბა, ყური დამიგდე.... ოჰ, ღმერთო, გული მიფანცქალებს... აი, მაგალითად თუნდ დღევანდელი დღე ავიღოთ. როგორც შენ თითონ იცი, ათიდან ოთხ საათამდის კანცელარიაში ჩემი ჰაპან-წყვეტა. სიცხე, სიცხის ბური, მძიმე სუნი, ბუზები და წარმოუდგენელი, ჩემო ძმაო, არეულობა და დაუწყობლობა—ხაოსი. მდივანი მოსასვენებლად წაბრძანდა, ხრაპოვი ცოლის შესართავად, კანცელარიის წვრილ-ფეხობაც სულ დაგიქდა. ეს აგარაკებიო, ეს წარმოდგენებიო და ბევრი სხვა რამ. რა ვიცი! ყველანი რაღაც დავიწყებულნი არიან, მისუსტებულნი, ისე რომ იმათგან ვერაფერს გაიგებ. მდივნის საქმეს დროებით ასრულებს ვიღაც მარცხენა ყურით ყრუ და შეყვარებული; მთხოვნელები რაღაც გატუტუცებულან, სულ სადღაც მიეჩქარებიან და მირბიან, ჯავრობენ, იმუქრებიან—ისეთი უბედურებაა, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს. საქმე კი—სულის შემხუთველი: ერთი და იგივე, ერთი და იგივე, გამოძიება, მიწერილობა, გამოძიება, მიწერილობა, სულ ერთგვარია. ერთის სიტყვით, გესმის, ეს თვალები როგორღაც მაღლა ამოდიან—შუბლზე... ერთი წყალი მომეც... გამოდიხარ შეკრებულებიდან დამტვრეული, დაქანცული და იმის მაგიერ რომ სადილი სჭამო და მოისვენო, უნდა გახსოვდეს, რომ შენ მოაგარაკე ხარ, ესე იგი მონა, ნაგავი, ტუტუცი, უნდა იმ წამსვე გაიქცე და რაც დაბარებული გაქვს, შეასრულო. ჩვენს აგარაკებზე ერთი მშვენიერი ჩვეულებაა, თუ მოაგარაკე ქალაქში მიდის, მარტო ცოლი კი არა, ყველა ნაცნობ-უცნობი, მეზობელი ვალადა სთვლის, ათასი რამ დაგაბაროს სასყიდლად. ცოლსა ჰსურს, მკერავ ქალს გავუარო და გამოვლანძღო, რადგან კაბის ზედა ტანი წელში განიერი შეუკერია და მხრებში კი ვიწრო; სონიჩკას ფეხსაცმელების გამოცვლა უნდა, ცოლის დას ერთი აბაზის ალის ფერი აბრეშუმი და სამი არშინი ზონარი... აი, მოიცა, ეხლავე წაგიკითხავ (იღებს ჯიბიდან ნაწერს და კითხულობს): ლამპის ბურთი, ერთი გირვანქა ძეხვი, ერთი შაურის მიხაკ-დარიჩინი, მიშასთვის საფაღარათო ზეთი, ათი გირვანქა ფხვნილი შაქარი, სახლიდან უნდა წავიღო სპილენძის ტაშტი და როდინი შაქრისთვის, კარბოლის სიმჟავე, რწყილის წამალი, პუდრა ორი შაურისა, ოცი ბოთლი ლუდი, ძმრის ესენცია, მადმაზელ შანსოსთვის კორსეტი მე-82 ნომერი... უჰ, ღმერთო ჩემო!... კიდევ მიშას შემოდგომის პალტო და კალოშები. ეს ცოლის და ოჯახის ბრძანებაა. ეხლა ნაცნობებისა და მეზობლების დავა-

## ი ა პ ო ნ ი ა

სურათები მიღებულია საკუთარი კორესპონდენტისაგან.



ჩაის გადამრჩევნი.



ყვავილების გამკეთებელნი.



მემუსიკენი.

რებული. ოჰ, ღმერთმა დასწყევლოს! ხვალ ვლასინის ვალოდიას დღეობაა, ცხენი უნდა ვუყიდო, პოდპოლკოვნიკის ვიხრინის მეუღლე ფეხ-მძიმედ გახლავსთ და მე მოვალე ვარ, ყოველ დღე ბებია ქალს გაუარო და მობრძანება ვთხოვო. ასე სულ ამ გვარად, სულ ხუთი ზარათი მაქვს ჯიბეში და ხელსახოციც სულ დანასკული. ასე, ჩემო ბატონო, სამსახურის გათავებიდან მატარებლის წასვლამდე დარბიხარ ქალაქში როგორც ძაღლი, ენა გამოყოფილი, დარბიხარ, დარბიხარ, დაწანწალებ და თავ-ბედს იწყევლი. მაღაზიიდან აფთიაქში, აფთიაქიდან მკერავ ქალთან, იქიდან სავასტრონომო მაღაზიაში, მერე კიდევ აფთიაქში. აქ წაიბორძიკებ, იქ ფულს დაჰკარგავ, მესამე ადგილას ფულის მიცემა დაგავიწყდება, გამოგიდგებიან და ასტყდება ერთი ვაი-ვაგლახი, მეოთხე ადგილას ვისმეს კაბის კუდზე დაადგამ ფეხს... ფუ! ამისთანა მაციონები სატანად აქცევს კაცს და ისე დაგღალავს და დაგამტვრევს, რომ მერე მთელი ღამე სულ ძვლები გტკივა და გველეშაპებსა ჰხედავ სიზმრად. კარგი, ესენი სულ დამზადებულია, ნაყიდი, ეხლა როგორ-ღა გვიბრძანებ ამათ შეკვრას ერთად? მაგალითად, როგორ გინდა მოათავსო ერთად მძიმე სპილენძის როდინი და როდინის ქვა ლამფის ბურთთან, ან არა და კარბოლის სიმჟავე და ჩაი. როგორ მოაწყობ ერთად ამ ველოსიპედსა და ამ ლუდის ბოთლებს. ეგვიპტური მუშაობაა, ჭკუის გაკვეთილი, რებუსი! მერე რამდენიც უნდა გაუფრთხილდე, მოუარო ყველა ამაებს, ბოლოს მაინც უეჭველად რამეს გასტეხ, დააპნევ. სადგურზედ და ვაგონშიც გაჩაჩხული უნდა იდგე, თავით ფეხამდე ბოხჩებითა და ამანათებით აკიდებული. როცა მატარებელი დაიძვრება, ხალხი ყოველ-მხრივ დაუწყებს სროლას შენს ბარგს, იმიტომ რომ სიჩქარით და ფაცა-ფუცით სხვისი ალაგი დაგიჭერია. მერე როგორ? ჰყვირიან, კონდუქტორი მოჰყავთ, გიყვირიან—გადმოგსვამთო, მე კი საწყალმა და უბედურმა რა ვქნა? ვდგევარ და თვალებს ვაფახურებ, ნაცემი ვირივით. აი კიდევ, ყური დამიგდე. მივედი, ღვთის მადლით, სახლში აგარაკად. ამ დროს გულით გინდა დალიო, შეჭამო და მერე დაქანცულმა ღვთის მონამ მოისვენო, მაგრამ უკაცრავად... არა! ჩემი მეუღლე როგორც კატა თაგვს, ისე შემომცქერის და მიცდის. შესჭამ რამეს თუ არა, იმ წამსვე წაგავლებს კისერში ხელს და—არა გნებავსთ დღეს ამა და ამ სცენის მოყვარეთა წარმოდგენაზე ან საცეკვაო საღამოზე წამობრძანდეთ? უარის თქმას აბა როგორ გაჰბედავ. შენ ქმარი ხარ, ხოლო სიტყვა „ქმარი“, რომ გადავთარგმნოთ მეაგარაკეთა ენიდან, პირუტყვი, უენო არსებაა, რომელზედაც შეიძლება შეჯდომა და, რამდენიც სულსა და გულს სურს, ბარგის აკიდება პირუტყვთა მფარველ საზოგადოების უშიშრად. მიდიხარ და თვალებს აჰყეტ რალაც „კეთილშობილ ოჯახის ალიაქოთს“ ან არა და რაღაც „გოტიას“, ტაშს უკრავ ცოლის ბრძანებით, ჭლექდები, ჭლექდები

# იაპონია

სურათები მიღებულია საკუთარი კორესპონდენციისაგან.



პირფარეში.



მოცეკვავენი.

და ყოველს წამს მოელი, რომ აი ეხლა ამოგხდება სული. ცეკვაობის დროს კი უნდა უყურო ცეკვას და ცოლისთვის კავალრები მონახო, თუ ვერ იპოვნი, თითონ უნდა აცეკვავო კადრილი. მოხვალ ნაშუაღამევს თეატრიდან ან ცეკვაობიდან სახლში, ადამიანის ფერი არ გაძევს, მკვდარი, ჩამომხჩვალი რამა ხარ, საზიზღარი შესახედავი. მაგრამ, ეხლა კი, ღვთის მადლით, მიაღწიე შენს საწადელს: გაიხდი და დაწვები მოსასვენებლად, დახუჭე თვალები და დაიძინე.... ყველაფერი ისე კარგად გეჩვენება, იმ დროს, ისე პოეტურია და თბილი, არც ბავშვები ჟღივიან კარებს უკან, არც ცოლია სახლში, ნამუსიც სუფთა გაქვს,—უკეთესს ვერას ძოინდომებ. აი, გეძინება კიდეც—უცბად... უცბად გესმის: დზზ.... დზზ.... კოღოები! (წამოხტება) კოღოები, ოჰ, ეს შეჩვენებულნი, შვიდ გზის იყვნენ წყეულნი ისინი, კოღოები! (მუშტების ქნევით) კოღოები. ღმერთო, ეგვიპტური ტანჯვაა, ინკვიზიციაა! დზზ!... ისე საცოდავად გიზუზუნებს ყურში, მწუხარებით, თითქოს შენდობასა გთხოვდეს, მაგრამ ისეთს-კი გიკბენს ის ღვთისაგან წყეული, რომ მერე მთელი საათი გქავა. თამბაქოსაცა სწევ, ხელითაცა ჰკლავ, თავზე საბანს იხურავ, მაგრამ არ გშველის რა. ბოლოს მიაფურთხებ ეშმაკს და მისცემ თავს შესაჭმელად: ჰა, ჭამეთ, თქვე დაწყევლილებო! როგორც იქმნება მიეჩვევი ამ უბედურებას—კოღოებს და წაგთვლემს.... მაგრამ ახალი ეგვიპტური ტანჯვა იწყება: ამ დროს დარბაზში ჩემი ცოლი და იმისი ტენორები რომანსებს იბეჯითებენ. დღე სძინავთ და ღამე კი კონცერტებისთვის ემზადებიან. ოჰ, ღმერთო ჩემო, ტენორები—ეს ისეთი წამებაა, რომ ვერა კოღო ვერ შეედრება. (მღერის). „ნუ იტყვი რომ სიყმაწვილემ დაგვღუპა“.... „ისევ შენ წინა ვდგევარ მე დაბნეულილი“... ოხ, თქვე წყეულებო, ფლიდებო! სული ამომხადეს. ცოტა მაინც რომ შემემსუბუქებინა ის ხმაურობა, ამისთანა ხერხი მოვიგონე: თითით ყურთან საფეთქელს უწყებ ხოლმე კაკუნს. გამიდის კაკა-კუკი ასე ოთხ საათამდის, სანამ არ გაათავებენ ბეჯითობას. ოჰ, ძმაო, ერთი წყალი მომე. აღარ შემიძლიან.... აი, ასე, უძილო, ადგები ექვს საათზე და მირბიხარ სადგურზედ მატარებლის დასახვედრად. მირბიხარ, გეშინიან არ დაგაგვიანდეს, გზაში კი ტალახია, ნისლი, სიცივე, ბრრ! ჩამოხვალ თუ არა ქალაქში, ხელ ახლად უნდა მომართო შენი ჩარხი. აი, ასე ჩემო ძმაო. ამისთანა ცხოვრებას მტერსაც არ ვუნატრი.

ავად გავხდი, გესმის, ავად. სულს ვერ ვიბრუნებ, კუჭის წვა მაქვს, სულ რაღაცისა მეშინიან, საჭმელს ვერ ვინელებ, თვალები ამღვრეული მაქვს.... სულ გავსულელდი. მგონია გავგიჟდი (იხედება). იცი, ჩვენ შორის დარჩეს... მინდა ჩეჩოტსა და მერჟეევსკის ვეჩვენო. რაღაც მომივლის ხოლმე. სიბრაზის დროს, როცა კოლოები მკბენენ და ტენორები მღერიან, უცბად თვალები ამემღვრევა, წამოვხტები, დავრბივარ გიჟივით მთელს სახლში და გავიძახი: „სისხლი მწყურიან, სისხლი“! და მართლაც იმ დროს მინდა ვისმეს ან დანა ვატაკო მუცელში ან სკამით თავი გაუპო. აი, სადამდის მიახწევინებს ადამიანს აგარაკად ყოფნა! არც არავის გებრალები, არავინ არ თანამიგრძნობს, თითქოს ეს ასე უნდა იყოს. იცინიან კიდევაც. მაგრამ, გაიგე კაცო, მე ხომ ცხოველი ვარ, მე ცხოვრება მინდა. აქ ვოდეველი კი არა, ძმაო, ტრაგედიაა... თუ რევოლვერს არ მომცემ, თანამიგრძენ მაინც.

**მურაშკ.** თანაგიგრძნობ.

**ტოლკაჩ.** ვხედავ, როგორც თანამიგრძნობთ.... მშვიდობით. წავალ წვრილი თევზი მაქვს სასყიდელი, ძეხვი.... კბილის სახეხი ფქვილი, მერე კი სადგურისაკენ გავწევ.

**მურაშკ.** რომელ აგარაკზე ცხოვრობ?

**ტოლკაჩ.** „დამპალი წყარო“ იცი?

**მურაშკ.** (მხიარულად) მართლა! არ იცნობ იქ ოლგა პავლოვნა ფინბერგს?

**ტოლკაჩ.** როგორ არა, კარგად.

**მურაშკ.** ნუ თუ? რა კაი შემთხვევაა!

**ტოლკაჩ.** რა იყო, რა ამბავია?

**მურაშკ.** გენაცვალე, ჩემო კარგო, არ შეგიძლიან ერთი პატარა თხოვნა ამისრულო, როგორც მეგობარს? მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ ამისრულებ!

**ტოლკაჩ.** რა იყო, რა არის?

**მურაშკ.** გეხვეწები, გემუდარები, ჩემო მტრედო, ჯერ მოიკითხე ჩემ მაგივრად ოლგა პავლოვნა და უთხარი, რომ ცოცხალი და კარგად ვარ და ხელზედ ვკოცნი. მერე ისა, რომ ერთი რამე წაუღე, გაგატან. ხელით საკერავ მანქანის ყიდვა დამავალა და წამღები კი არავინაა... წაუღე ჩემო კარგო, ჰო, მართლა, მაინც მიდიხარ და, აი, ეს გალია იადონით. მაგრამ ფრთხილად კი, თორემ კარები გაუტყდება.... რა ეგრე გაშტერებული მიყურებ!

**ტოლკაჩ.** საკერავი მანქანა... გალია იადონით... ნიბლია, ჭივჭავი, ბულბული...

**მურაშკ.** ივან ივანიჩ, რა მოგდის? ე რა ფერი გადევს?

**ტოლკაჩ.** (ფეხების ბრახუნით) მოიტა აქ მანქანა! სად არის გალია? მოდი შენც ზედ შემაჯექი! სჭამე ადამიანი, ჰქენჯნე, გაგლიჯე, მოჰკალი! (მუშტებით). სისხლი მწყურიან, სისხლი, სისხლი!

**მურაშკ.** ჭკუიდან შეიშალე?

**ტოლკაჩ.** (უახლოვდება მუშტებით). „სისხლი მწყურიან, სისხლი!

**მურაშკ.** (შიშით). გაგიჟდა, ღმერთმანი გაგიჟდა! (უვირის). პეტრუშკა! მარია! სადა ხართ? ხალხნო, მიშველეთ!

**ტოლკაჩ.** (დასდევს ოთახში). სისხლი მწყურიან, სისხლი!

(ფარდა).

შიო წადგლელი.




სცენები ტფილისის ქუჩებზე

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.